დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

“სოციალური ფსიქოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

შეფასების თარიღ(ებ)ი

24.10.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

2023-12-11

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 12

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 13

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 15

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 20

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204555524
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლენა ელიზაბეტ ადამსონი, სტოკჰოლმის უნივერსიტეტი, სტოკჰოლმი, შვედეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მედეა დესპოტაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ქვათაძე, შპს BAU საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სოციალური ფსიქოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Social Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	VII
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313 ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	• შიდა საუნივერსიტეტო სპეციალიზებული გამოცდა • ინგლისური ენის ცოდნის შემოწმება საჭირო (B2) დონეზე, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან უნივერსიტეტის „ენობრივი კომპეტენციის განმსაზღვრელი წესებით“.

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS-ს; ყოველი სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ნამდვილად აკმაყოფილებს ფსიქოლოგიის დარგის მოთხოვნებს. პროგრამა განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციისა და კვლევითი პოტენციალის მქონე 15 აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით. უნივერსიტეტი 20 სტუდენტის მიღებას გეგმავს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 24 ოქტომბერს. შეფასების ჯგუფი შეხვდა ადმინისტრაციულ პერსონალს, თვითშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, მონათესავე პროგრამების სტუდენტებს, მონათესავე პროგრამების კურსდამთავრებულებს, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებს და დამსაქმებლებს. ობიექტების დათვალიერებისას წარმოდგენილი იქნა ძირითადი რესურსები და პოტენციალი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- ზოგადად, სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტების მოთხოვნებთან და გვპირდება, რომ გახდება მაღალხარისხიანი პროგრამა. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია. სასწავლო პროგრამის შინაარსი შესაბამისია. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება და პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა შეესაბამება მოთხოვნებს. პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისაგან, რომლებსაც აუცილებელი კომპეტენციები აქვთ, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამა ასევე იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სერვისებს.

- პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

არ არის მითითებული

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- თანმიმდევრულად გამოიყენეთ ტერმინი (მოსალოდნელი) სწავლის შედეგი. სწავლის რეზულტატი ჩვეულებრივ გულისხმობს იმას, რაც სტუდენტებმა წარმოადგინეს, მაგალითად, საგამოცდო ნაშრომში (სწავლის მიღწეული შედეგები).
- მიეცით სტუდენტებს სტუდენტურ პორტალზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა.
- მიეცით სტუდენტებს პირდაპირი წვდომა პროგრამაზე (Turnitin) თვითშემოწმებისთვის.
- დაამატეთ სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში.
- დაამატეთ მეტი კომპიუტერი აუდიტორიებში.
- მიუთითეთ ბიუჯეტის გადაწყვეტილების მიღების თარიღი.
- მოძებნეთ პროგრამის საერთაშორისო შემფასებლები და განავითარეთ იგი საერთაშორისო ტენდენციების მიხედვით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**
  - მოსაზრება, რომ განათლების ხარისხის განვითარების საუკეთესო გზა პედაგოგების მომზადებაა (ეს აზრი გაჟღერდა ხარისხის სამსახურთან შეხვედრაზე).
  - დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“.
  - პროგრამების გასაუმჯობესებლად გამოყენებული „კრიტიკული მეგობრების“ მექანიზმი
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის თანახმად, უნივერსიტეტის წარმომადგენლები იზიარებენ დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და არ წარმოადგენენ არგუმენტირებულ პოზიციას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას საფუძვლად უდევს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებისა და პრაქტიკის შესწავლა, იგი, ასევე ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამაში ჩამოთვლილია პროგრამის ხუთი მიზანი, რომლებიც ორიენტირებულია სოციალური ფსიქოლოგიის თეორიული, მეთოდოლოგიური, კვლევისა და კონტექსტუალური საკითხების ცოდნაზე. იგი მიზნად ისახავს მოამზადოს შრომის ბაზარზე მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე სტუდენტები სოციალური ფსიქოლოგიური კვლევების, სფეროში არსებული სირთულეებისა და მათი გადაჭრის გზების ღრმა ცოდნით. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული, რეალისტური და შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის მისიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა
- საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის ჯიუ-ს მისია.
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.
- დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი.
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხუთი მიზანი იყოფა პროგრამის სწავლის შვიდ შედეგად. ისინი ლოგიკურადაა დაჯგუფებული ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიხედვით, როგორც ეს საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი (NQF) არის განსაზღვრული. პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის მიმართული პროგრამის მიზნებისკენ, ხოლო შემდეგ მიმართულია სავალდებულო სასწავლო კურსებისკენ, სრული გაშუქების უზრუნველსაყოფად. ეს, თავის მხრივ, ჩაშლილია სილაბუსებში გაზომვადი/ შესაფასებელი სწავლის შედეგებად, შეფასების ინდიკატორებთან ერთად, და ეს ყველაფერი მკაფიო და სტუდენტზე ორიენტირებული ფორმით. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულია აქტიური ზმნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა
- პროგრამის დანართი N1-N4
- სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსი
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თანმიმდევრულად გამოიყენეთ ტერმინი (მოსალოდნელი) სწავლის შედეგი. სწავლის რეზულტატი, ჩვეულებრივ, გულისხმობს იმას, რაც სტუდენტებმა წარმოადგინეს, მაგალითად, საგამოცდო ნაშრომში (სწავლის მიღწეული შედეგები).

- **შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა წარმოადგინა კარგად ჩამოყალიბებული და სრულყოფილი დოკუმენტი სახელწოდებით „პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომელიც საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის. ეს დოკუმენტი აღწერს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორებს, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მეთოდს, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, სამიზნე ნიშნულებს და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპებს. აღნიშნული ინფორმაცია ცნობილია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. სწავლის შედეგების გაზომვისა და ანალიზის უნარის განვითარების მიზნით ისინი სისტემატურად გადიან ტრენინგებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგ. როგორიცაა აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ახალი სტანდარტები, ESG- 2015, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩო და სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს ამ პროცესისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი. პროგრამის მიზნების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოიყენება. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის განმახორციელებლებმა შეიმუშავეს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის რუკა და მოამზადეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა დამსაქმებელთა ჯგუფისა და გარე პროფესორის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი „პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია“
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ნათლად არის შემუშავებული უნივერსიტეტში მოქმედი განათლების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით. ეს გაკეთდა შრომის ბაზრის საწყისი ანალიზის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მსგავსი პროგრამის ანალიზის, ზემოთ ნახსენები დოკუმენტის „მეთოდები…“ და შიდა და გარე შეფასებების საფუძველზე. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და სირთულე შეესაბამება მეორე საფეხურის უმაღლესი განათლების პროგრამის დონეს. იგი აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი 120 ECTS მოცულობით. ერთი სასწავლო წელი განისაზღვრება 2 სემესტრით. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო კურსები/ კომპონენტები (ნაშრომის ჩათვლით) – 100 ECTS ძირითადი სასწავლო სფეროს არჩევითი კურსი – 20 ECTS. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის სწორი ბალანსით (100/20), სადაც სავალდებულო კურსები მოიცავს ისეთ აუცილებელ კურსებს როგორიცაა აკადემიური წერა და მეთოდები, ხოლო არჩევითი კურსები

საშუალებას აძლევს სტუდენტებს აირჩიონ პირად შინაარსზე დაფუძნებული პროფილი. მთლიანობაში, სავალდებულო ნაშრომთან და სტაჟირებასთან ერთად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერილობა
- დანართი N1-N4
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლ ო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული აკადემიური კურსი იღებს 4-6 ECTS- ს, 6 - სავალდებულო კურსებისთვის და 4 - არჩევითი კურსებისთვის. სტაჟირებისთვის გამოყოფილია 10 ECTS, ხოლო ნაშრომისთვის 30 ECTS. აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების სავალდებულო კურსები და 30 ECTS კრედიტიანი ნაშრომი სტუდენტებს ძალიან კარგ

შესაძლებლობას მისცემს განავითარონ კვლევის უნარები და გამოიყენონ ისინი მომავალ საქმიანობაში. ეს დასაფასებელია. რაც შეეხება საბიბლიოთეკო რესურსებს, ის საკმარისია პროგრამის განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსების/კომპონენტების სილაბუსი.
- დანართი N1- 4 – მიზნებისა და შედეგების რუკის, სასწავლო გეგმის რუკის, და შედეგების შეფასების შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა.
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ციფრული ფონდი
- გასაუბრება
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში, საკლასო ოთახებში და სხვა ობიექტებზე

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პროცედურა შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და უნივერსიტეტის დებულებებს. ამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებგვერდზე განყოფილებაში „საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება სერტიფიკატით ან „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესების“ დოკუმენტის მიხედვით. ასევე განსაზღვრულია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები მობილობით გადმოსული და საერთაშორისო სტუდენტებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით. ზოგადად, უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საიტზე განთავსებული ინფორმაცია
- დოკუმენტი „ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესები“.
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლის შედეგების შესაბამისად. სხვადასხვა კურსებში დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები. გარდა ამისა, სტუდენტები გადიან სათანადო ტრენინგს როგორც თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებში, აკადემიურ წერაში, რაც მოამზადებს მათ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისთვის. პროგრამა მოიცავს პრაქტიკას 10 ECTS კრედიტის მოცულობით. უნივერსიტეტმა გააფორმა მემორანდუმები როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებთან, რომლებსაც გარკვეული ადგილები აქვთ სტუდენტებისთვის. ეს უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის პრაქტიკას. სტუდენტებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პრაქტიკულ და სამეცნიერო კონფერენციებში კვლევის უნარების განვითარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესი
- პროფესიული სტაჟირების განხორციელების წესი
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის თითოეული აკადემიური კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება განათლების მაღალ დონეს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მიზანმიმართულ შეფასების მეთოდებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ორივე წამყვანი დასავლური უნივერსიტეტის გამოცდილება (მახასიათებელთან შედარების პროცესით), ახალი ტენდენციები განათლების მეცნიერებებში და გადაამზადა როგორც დასაქმებული პედაგოგები, ასევე აკადემიური/ მოწვეული სპეციალისტები. სწავლება-სწავლის კონკრეტული მეთოდები დეტალურად არის წარმოდგენილი კურსების სილაბუსებში მათი შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ დოკუმენტებში შეგიძლიათ იხილოთ სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

იმისთვის, რომ განისაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან მიმართებაში, იქმნება შეფასების ვრცელი სისტემა. ეს სისტემა სწავლის ყველა შედეგს გაზომვადს, გამჭვირვალეს და კანონმდებლობასთან შესაბამისს ხდის. მაგისტრანტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებების დროს მათ აღნიშნეს, რომ არასდროს შექმნიათ რაიმე გამოწვევა ან პრობლემა ყოველდღიურ შეფასებასთან ან ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით. მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ისინი სარგებლობდნენ რეგულარული კონსულტაციებით, რაც ხელს უწყობდა ღია კომუნიკაციას პედაგოგებთან. გარდა ამისა, ისინი კომფორტულად გამოხატავდნენ საკუთარ მოსაზრებებს, მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმებოდნენ მიღებულ შეფასებას. როგორც აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, ისინი შეფასებისთვის იყენებენ ABC მოდელს. სემესტრის ბოლოს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ანონიმურად შეაფასონ სასწავლო პროცესი და თავად აკადემიური პერსონალი სტუდენტური ელექტრონული სისტემის გამოყენებით. პასუხები სავალდებულოა, ამიტომ საკუთარ გვერდზე შესასვლელად მათ ჯერ დასმულ შეკითხვებს უნდა გასცენ პასუხები. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, შეფასების ელემენტები, ტექნიკა და სტანდარტები არის მკაფიო, ადვილად ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილი სტუდენტებისთვის. სტუდენტები არა მხოლოდ იღებენ უკუკავშირს თავიანთ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ, ასევე - ინფორმაციას მათი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შესახებ. ყველა პროგრამის შეფასების სისტემა ეფუძნება 100-ბალიან სკალას შემდეგი შეფასებებით: დადებითი ქულები:

(A) - ფრიადი - 91-100 ქულა;
(B) – ძალიან კარგი - 81-90 ქულა
(C) - კარგი - 71-80 ქულა
(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
(E) საკმარისი - 51-60 ქულა.
უარყოფითი შეფასება:
(FX) - ვერ ჩააბარა - 41- 50 ქულა, სტუდენტს მეტი შრომა სჭირდება ჩასაბარებლად და ეძლევა გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;
(F) – ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 და ნაკლები. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.
სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე გასვლის წინაპირობებია:

1) სტუდენტის მიერ სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება და ყველა სავალდებულო კურსის გავლა.
2) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა;
3) სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა;
4) ნაშრომის განხილვა;
5) ნაშრომის ანტიპლაგიატის პროგრამაში გატარების ექსპერტიზის დასკვნა.

წინასწარ განხილვაზე კომისია განიხილავს ნაშრომის შინაარსს და ფორმას, და წყვეტს, გავიდეს თუ არა იგი საჯარო დაცვაზე და ანტიპლაგიატის შემოწმებაზე. თუ პლაგიატის ეჭვი გაჩნდა, ის აჩერებს განხილვას, მაგრამ ნაშრომი მაინც შემოწმდება. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ხდება ნაშრომის წარდგენა, მისი მინიმალური გამსვლელი ქულა არის 51 ქულა 100-დან. პრაქტიკის შეფასება აერთიანებს შუალედურ შეფასებებს და ანგარიშის ქულებს. პრაქტიკის ანგარიშის ხვედრითი წონა არის 40%, ხოლო შუალედური გამოცდების - 60%. შეფასება მოიცავს პრაქტიკის ხელმძღვანელს და მენტორს, ხოლო კომისია ასრულებს შეფასებას სემესტრის შემდგომ. სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა, ისევე როგორც კარიერული მხარდაჭერა ფუნქციონირებს როგორც უნივერსიტეტის ერთიანი განყოფილება. ეს ერთეული გთავაზობთ დეტალურ ინფორმაციას აკადემიური და კლასგარეშე აქტივობების შესახებ, რომელიც ეხება სტუდენტური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს. ჯიუ- ს სტუდენტები იღებენ უახლეს ინფორმაციას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებზე, კონფერენციებზე და აკადემიური მოსწრებისა და კარიერული პერსპექტივების შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე საინფორმაციო სესიების საშუალებით. სტუდენტები სწავლის შედეგებს აღწევენ სხვადასხვა სასწავლო პროცესის წყალობით, სადაც ვლინდება მათი უნარები. ამის შესახებ სტუდენტები ინფორმირებული არიან. სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, წინასწარი შეთანხმებით შეხვდეს ლექტორებს, აკადემიურ პერსონალს და გაიაროს კონსულტაცია. ზოგადად, სტუდენტური პორტალი აღიარებულია, როგორც უაღრესად მოქნილი პლატფორმა ლექტორებისა და კურსების ასარჩევად. ასევე ქულებისა და სხვა საკითხების შესახებ სწრაფი ინფორმაციის მისაღებად. თუმცა, ერთი შესამჩნევი საკითხი გამოიკვეთა სტუდენტებთან გასაუბრების დროს - სტუდენტებს არ აქვთ ამ პორტალზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის გარედან სტუდენტები აწყდებიან ლექციების არჩევისა და სისტემასთან დაკავშირების სირთულეს. საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში წინასწარ განსაზღვრული გარიგით და ინდივიდუალური შეთანხმებებით. უნივერსიტეტის პერსონალი იცავს დანიშნულ ვადებს საკონსულტაციო სესიებისთვის, აწარმოებს სპეციფიკურ სამუშაო

ჩანაწერებს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომლებიც მონაწილეობენ სტუდენტთა კონსულტირებაში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ატარებს დასაქმების ფორუმებს, რომლებიც აწვდიან სტუდენტებს დეტალურ ინფორმაციას ქართული და უცხოური დასაქმების ბაზრის შესახებ, და ეხმარება მათ დასაქმების შესაძლებლობების ძიებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი გასაუბრებები
- ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიეცით სტუდენტებს სტუდენტურ პორტალზე დისტანციურად წვდომის შესაძლებლობა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☒	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში ჩართულია თხუთმეტი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაგან ცხრას შესაბამისი კვალიფიკაცია და კვლევის პოტენციალი აქვს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის. ინფორმაცია სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობის შესახებ თვითშეფასების დოკუმენტში არ არის მოწოდებული. თუმცა, აკადემიური პერსონალის დატვირთვის, ამ ამოცანისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობისა და სტუდენტების რაოდენობის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს თანაფარდობა საკმარისი იქნება. უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტების უკუკავშირს გამოკითხვებისა და მუდმივი

გაუმჯობესების ინიციატივების მეშვეობით. კვლევით პროექტებში ჩართვა, მათ შორის ინკლუზიურ ინსტიტუციურ პროგრამაში, ხელს უწყობს თეორიისა და პრაქტიკის შერწყმას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გარე და შიდა სახსრებს, ხელს უწყობს სტუდენტების ხელმძღვანელობით ჩატარებულ კონფერენციებსა და ღონისძიებებს. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ავრცელებს ინფორმაციას მომავალი საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამებისა და ტრენინგების შესახებ შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ კეთილსინდისიერებას Turnitin პროგრამის გამოყენებით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეაფასონ თავიანთი ნაშრომების ორიგინალობა კონფერენციებზე გატანის წინ, სადაც მსგავსების დასაშვები რაოდენობა არის მაქსიმუმ 20%. ეფექტურობის ხელშესაწყობად, სტუდენტებს პირდაპირი წვდომა აქვთ პროგრამაზე თვითშემოწმებისთვის, რაც დაზოგავს როგორც სტუდენტის, ასევე პროფესორის დროს. ხაზგასმულია პრაქტიკული ჩართულობა და ენობრივი ბარიერების მოგვარება ხდება უფასო ინგლისური ენის კურსების საშუალებით, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში. სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის არსებობს ფინანსური მხარდაჭერა, ხოლო გრანტები, მოწვეული სპეციალისტების ლექციები და კურსდამთავრებულების ჩართულობა ზრდის შესაძლებლობებს. კურსდამთავრებულები ხაზს უსვამენ გაუმჯობესებულ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტების კმაყოფილებას. მხარდამჭერი გარემო ხელს უწყობს ღია კომუნიკაციას აკადემიურ პერსონალთან, განწყობილებას, რომელიც ეხმიანება კურსდამთავრებულთა და მიმდინარე სტუდენტთა რეკომენდაციებს. სწავლის გადახდის მოქნილი გეგმები კიდევ უფრო ამსუბუქებს ფინანსურ ტვირთს. ინიციატივები სცილდება აკადემიურ საზღვრებს, მაგალითად, ერთმა სტუდენტმა მოითხოვა ქართული ხალხური მუსიკის გუნდის შექმნა და მისთვის სპეციალური ოთახის გამოყოფა, რასაც უნივერსიტეტი ეხმიანება. ეს სტუდენტი ახლა ხელმძღვანელობს ჯგუფს, რითაც ამტკიცებს, რომ უნივერსიტეტი დაინტერესებულია თავისი სტუდენტების მრავალფეროვანი ნიჭისა და ინიციატივების ხელშეწყობით.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**ახალი პროგრამა**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**ახალი პროგრამა**
თანაფარდობა	**ახალი პროგრამა**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი (საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია; პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის წესი)
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისა და შესრულების წესი

- პროგრამის კვლევის შედეგების შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიეცით სტუდენტებს პირდაპირი წვდომა პროგრამაზე (Turnitin) თვითშემოწმებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე,

სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც საჭირო კომპეტენციას ფლობენ, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში; მათი კვალიფიკაცია შეესაბამება სწავლების სფეროებს. პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განაწილების სისტემების შესახებ მოწოდებული ინფორმაცია, როგორც სწავლების, ასევე კვლევითი საქმიანობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს პროგრამის საკმარისობას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და მართვისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.ის პირადად იყო ჩართული პროგრამის დაგეგმვაში და ჩართული იქნება მის განხორციელებაშიც. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სათანადო კომპეტენციის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს. თხუთმეტი აკადემიური პერსონალიდან, რომლებიც განახორციელებენ სწავლებას პროგრამაზე სამი პირი არის მოწვეული. ყველას აქვს დარგში რელევანტური დარგობრივი ცოდნა. ცხრა პირს აქვს დოქტორის ხარისხის ხო ერთი პირი ასრულებს სადოქტორო პროგრამაზე სწავლას. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის მანძილზე მასთ მიერ განხორციელებული სამეცნიერო აქტივობებით როგორიც არის: მონოგრაფიები, პუბლიკაციები მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში, საშემსრულებლო ან პრაქტიკული პროექტები და ა.შ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტად განხორციელებას და ასევე სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი აქტივობების და სხვა მოვალეობების განხორციელებას. ყოველივე აღნიშნული გადმოცემული იყო თვითშეფასების ანგარიშში და სხვადასხვა დანართებში.

1. სამუშაოს აღწერილობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
2. პერსონალის პირადი საქმეები;
3. აკადემიური მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია.
5. მოსწავლეთა კვოტების დაგეგმვის მეთოდოლოგია.

არცერთი აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ნათარგმნი ქართულ ენაზე, თუმცა ვიზიტის დროს დადასტურდა აღნიშნული მონაცემების სისწორე.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	**15**	**15**	**9**	**5**
- პროფესორი	4	4	4	1
- ასოცირებული პროფესორი	6	6	4	2
- ასისტენტ-პროფესორი	2	2		2
- ასისტენტი	4	4	1	
მოწვეული პერსონალი	5			_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება პერსონალთან.
- მოწოდებული დოკუმენტები, მათ შორის პერსონალის სია და მათი CV

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან პროგრამა ჯერ არ დაწყებულა, ინფორმაცია ხელმძღვანელების შესახებ არ არის რელევანტური. პროგრამას ჰყავს ცხრა დოქტორის ხარისხის მქონე თანამშრომელი, რაც მათ უფლებას აძლევთ იყვნენ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრება პერსონალთან.
- მოწოდებული დოკუმენტები, მათ შორის პერსონალის სია და მათი CV

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☒	☒	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს და აანალიზებს პროგრამის თანამშრომლებს. როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი ყოველწლიურად ავსებს თვითშეფასებას კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით. სხვადასხვა ტიპის კვლევით საქმიანობას ენიჭება ქულები და არსებობს აუცილებელი ზღვარი, რომელიც პერსონალის სხვადასხვა ჯგუფებმა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ა.შ.) უნდა დააგროვოს. შედეგების მიხედვით, არსებობს სხვადასხვა სახის სტიმული იმ პერსონალისთვის, რომელიც აღწევს ან აჭარბებს ქულების რაოდენობას. მეორეს მხრივ, ამის ვერ შესრულების შემთხვევაში პერსონალი მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებს, რომლებიც ორი წლის განმავლობაში უნდა შესრულდეს. თუ ესეც ვერ შესრულდება, უნივერსიტეტი უფლებას იტოვებს შეწყვიტოს თანამშრომლობა. უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ სამეცნიერო კვლევის ხარისხის შეფასება რთული თემაა.აქედან გამომდინარე, სანამ შეიმუშავებდა თავის საკუთარ სისტემას, მან გააანალიზა რიგი ეროვნული და საერთაშორისო დაწესებულებების მიერ გამოყენებული კრიტერიუმები. რაც შეეხება სწავლების ხარისხს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მეშვეობით ტარდება რეგულარული შეფასებები, რომელიც მიჰყვება გეგმა -განხორციელება- ტესტი- შემუშავების ციკლს. ეს ეხება როგორც შიდა, ისე გარე პერსონალს და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობას. უნივერსიტეტის პერსონალის განვითარება ეხება როგორც მათ სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ კომპეტენციებს. ეს ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მაგრამ ასევე ურთიერთშეფასებით. ტრენინგები და სემინარები მნიშვნელოვანია ორივე მიმართულებით (ადგილზე ვიზიტის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ „ხარისხის ხელშეწყობის საუკეთესო საშუალებაა პედაგოგის მომზადება“). ამ აქტივობებს სრულად აფინანსებს და აწყობს პროფესიული განვითარების ცენტრი და კვლევის ხელშემწყობი ცენტრი. უნივერსიტეტში მოქმედებს დაწინაურებისა და წახალისების სისტემა და ყოველწლიურად ტარდება პერსონალის კმაყოფილების კვლევა. პერსონალის განვითარების აქტივობებში ასევე შედის ინტერნაციონალიზაციის/მასწავლებელთა მობილობის აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი, სადაც ჩამოთვლილია სხვა მრავალი დოკუმენტი
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული	☒	☐	☐	☐

პერსონალის პროფესიული განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს ბიბლიოთეკისთვის ცალკე შენობა აქვს, რომელიც სტუდენტების სურვილისა და საჭიროებების შესაბამისად აშენდა. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული საკითხავი მასალა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონულად, ზოგიც მატერიალური წიგნის სახით. სტუდენტებს, ასევე წვდომა აქვთ,სხვადასხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე. თუმცა, ბიბლიოთეკაში საჭირო იქნება სახელმძღვანელოების მეტი ასლის დამატება. აკადემიური პერსონალისთვის არის სამუშაო ადგილები. უნივერსიტეტში არის როგორც სამკითხველო სივრცეები, ასევე ცალკე სტუდენტური ოთახი თავისუფალი დროის აქტივობებისთვის. მას ასევე აქვს საკონფერენციო დარბაზები. კლასებში არის კომპიუტერები და პროექტორები, მაგრამ პერსონალი აღნიშნავს მეტი კომპიუტერის საჭიროებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.
- ადგილის მონახულება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დაამატეთ სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში.
- დაამატეთ მეტი კომპიუტერი აუდიტორიებში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი კარგად არის გაწერილი 2023-2027 წლების სრული პერიოდისთვის. იგი ეფუძნება წელიწადში 20 სტუდენტისგან მიღებულ შემოსავალს, ამას ემატება რეალისტური გამოთვლებით, რომლის მიხედვითაც სტუდენტთა 90% გააგრძელებს სწავლას და 95% წარმატებით დაასრულებს წელს. ბიუჯეტი დაყოფილია შემდეგნაირად:- პერსონალის სამი განსხვავებული ჯგუფის ხელფასები, - პრემიები (აკადემიური თანამშრომლების წახალისების პროგრამები), - კვლევა და განვითარება, - კარიერული განვითარება, - ბიბლიოთეკა, - სტიპენდიები და სტუდენტური ხარჯები და - სხვა ხარჯები. ყველა პუნქტი ახსნილია დოკუმენტში, თუმცა ამ ბიუჯეტის ინგლისურ თარგმანში არ არის მითითებული ბიუჯეტის დამტკიცების თარიღი. მთლიანობაში, სასწავლო პროგრამის განხორციელების ბიუჯეტი რეალისტურად და პრაქტიკულად გამოიყურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტი
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიუთითეთ ბიუჯეტის დამტკიცების თარიღი.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ქართულ საერთაშორისო უნივერსიტეტს ჯიუ-ს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური დეპარტამენტი, რომელიც ჩართულია და კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების ან/ და განვითარების და მოდიფიკაციის პროცესებს. ჯიუ-ში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს შორის გამოიკვეთა: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმები; საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის შეფასების მექანიზმი; საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მუშაობს ზოგადი საუნივერსიტეტო PDCA პრინციპით: P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) – რეაგირება. ეს გულისხმობს უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში. პროგრამა ეტაპობრივად მტკიცდება: პროგრამას განიხილავენ პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შეხვედრაზე, შემდეგ მას აკვირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური და შემდეგ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (სხვადასხვა პროგრამიდან) და დამსაქმებლები სრულად იცნობენ პროგრამის შინაარსს. სრულიად ნათელი იყო, რომ ამ ახალი პროგრამის შემუშავება და პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება იყო ერთობლივი პროცესი, სადაც თანაბრად იყო ჩართული ყველა ძირითადი მხარე, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული გარე შეფასების ერთ- ერთი მექანიზმი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული აკრედიტაცია. იმის გამო, რომ პროგრამა ახალია, უნივერსიტეტი გამოიყენებს შეფასებისას მიღებულ რეკომენდაციებს და ეს აისახება პროგრამის განხორციელებაზე. ეს პროგრამა შეაფასა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ-ს პროგრამის ხელმძღვანელმა. გარე, კოლეგიური შეფასების დასკვნა იყო ის, რომ სოციალური ფსიქოლოგიის მიზანია უზრუნველყო საზოგადოება ადეკვატურად მომზადებული კადრით და რომ ეს სამაგისტრო პროგრამა ამის მისაღწევად სწორი მიმართულებით ვითარდება. საჭიროების შემთხვევაში,

თვითშეფასების ანგაირიშში დაემატება ურთიერთშეფასება (სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული ქართველი და/ ან საერთაშორისო კოლეგების მიერ), რაც გამოყენებული იქნება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- გარე შემფასებლის დასკვნა
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამისთვის მოიძებნოს საერთაშორისო შემფასებელი, რათა იგი შემდგომ განვითარდეს საერთაშორისო მიმართულებით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას აფასებენ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ერთმანეთთან კოორდინაციით. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პროცესი ეფუძნება შემდეგ მონაწილეებს: სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის პოტენციური დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ყველა მონაწილე ჩართული იყო და იცნობდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პრინციპებს.

სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში მონაწილეობენ კითხვარის შევსებით. პროგრამის განხორციელების შეფასებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა მოიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ დისკუსიებში მონაწილეობას. პოტენციური დამსაქმებლები აფასებენ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, მათ კვალიფიკაციას და კომპეტენციებს, და მათი უნარების დონეს, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დამსაქმებლები განსაკუთრებით აფასებენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების თეორიულ ცოდნას და პრაქტიკული გამოყენების უნარებს. პროგრამის კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამას კითხვარების საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა გამოიყენებს ურთიერთშეფასებას პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის ფარგლებში ეს ხდება აკადემიური პერსონალის სწავლების შეფასების გზით, ანუ ლექციებზე ურთიერთდასწრების გზით (იმავე პროგრამის, იმავე უნივერსიტეტის სხვა პროგრამის, ან სხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული პირის მიერ), რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. იმის გამო, რომ პროგრამა ახალია უნივერსიტეტისთვის, ექსპერტთა პანელს არ აქვს დამატებითი ინფორმაცია ანალიზის შედეგების ანგარიშებიდან. ეს დისკუსია ეფუძნება გასაუბრებებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას. პროგრამების გაუმჯობესების პროცესში საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინების მიზნით სოციალური ფსიქოლოგიის პროგრამა შეადარეს სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- პროგრამის შეფასების კითხვარები
- გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „სოციალური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ლენა ადამსონი
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების
სახელი, გვარი, ხელმოწერა
მარიამ ალექსიძე
სახელი, გვარი, ხელმოწერა
ანი ქვათაძე
სახელი, გვარი, ხელმოწერა
მედეა დესპოტაშვილი